შეთანხმება №37/321

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ევრომშენი 999“-ს შორის
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 20 დეკემბერს გაფორმებულ №321 ხელშეკრულებაში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

ქ. ზუგდიდი *12 აპრილი, 2019 წელი*

ერთი მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია*** (შემდგომში _ შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, მერის მოვალეობის შემსრულებლის მაიზერ ნანავას სახით და მეორე მხრივ, ***შპს „ევრომშენი 999“*** (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ მიმწოდებელი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის დიმა ჯღამაიას სახით, მხარეთა შორის 2018 წლის 20 დეკემბერს გაფორმებულ №321 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში _ ხელშეკრულება) მე-17 მუხლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 10 აპრილის №2472-02 მომართვის გათვალისწინებით ვთანხმდებით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 10 აპრილის №2472-02 წერილობითი მომართვის თანახმად, სამუშაოები დასრულდა ვადის დარღვევით და მიმწოდებელს ეკისრება საჯარიმო სანქცია, გამომდინარე აქედან საჭიროა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. განხორციელდეს ცვლილება ხელშეკრულების მე-18 მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

   მუხლი 18. პუნქტი 1. _ „ხელშეკრულება ძალაშია 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე“.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთ ელექტრონულ ფაილად.
4. დოკუმენტი მხარეთა მიერ დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი	*მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი*
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	**შპს „ევრომშენი 999“**
zugdidi municipality city hall Digitally signed by zugdidi municipality city hall DN: cn=zugdidi municipality city hall, 2.5.4.97=NTRGE-220418956, o=•••••••••••••••••••••••••••••••••••, c=GE Date: 2019.04.12 18:49:55 +04'00'	Dima Jghamaia Digitally signed by Dima Jghamaia DN: cn=Dima Jghamaia, serialNumber=19001020031, o=Citizen, c=GE Date: 2019.04.12 19:06:51 +04'00'

N 2472-02 10/04/2019

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ მაიზერ ნანავას

ბატონო მაიზერ,

როგორც მოგეხსენებათ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ევრომშენი 999“ - ს შორის 2018 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული N321 ხელშეკრულება ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ცოტნე დადიანის ქუჩის N3-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. რადგან სამუშაოები დასრულდა ვადაგადცილებით და მიმწოდებელს ეკისრება საჯარიმო სანქცია, აუცილებელი გახდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს 20.12.2018 წლის N321 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით განახორციელოს სათანადო ღონისძიებები.

პატივისცემით,

ლეონტი ფაჭავა

ლ. ფაჭავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მ.შ.
ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური